

ქართველი არტისტების ისტორია – ქართული ფესვებიდან აღმოცენებული თეატრი ამერიკაში.

რესპოდენტი
პაატა ციქურიშვილი

ინტერვიუერი
ნინი სიხარულიძე

ინტერვიუს თარიღი
10 ივნისი, 2023 წელი

შესავალი
პაატა ციქურიშვილი, "სინეტიკური თეატრი – ხელოვნების დინამიური სინთეზი"-ს ("Synetic Theater – A Dynamic Synthesis of the Arts") დამფუძნებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი, საუბრობს ამერიკაში ემიგრაციის ისტორიის შესახებ, რომელიც იწყება 1995 წელს. ინტერვიუს მეორე ნაწილში, იგი გვიყვება თავისი თეატრის დაფუძნების და თეატრის ქართული ფესვების შესახებ. პაატა განავრცობს თეატრის როლს, როგორც სოციოპოლიტიკურ და ზოგადსაკაცობრიო თემების კულტურულ მანიფესტოს.

წინაპირობა

ნინი სიხარულიძე: მინდა დავიწყო თქვენი ემიგრაციის დეტალებით. როგორ და როდის იწყება თქვენი ისტორია?
პაატა ციქურიშვილი: ჩემი ემიგრაციის ისტორია აშშ-ში იწყება 1995 წლის ოქტომბრის თვეში. ის რაც ჩვენ გამოვიარეთ 90-იან წლებში იყო სრული კოშმარი. ჯერ 90-იანი წლები რა საშინელება იყო, მერე 90-იან წლებამდეც – როგორი მძიმე ცხოვრება: ეს მონური მენტალიტეტი, სერი ცხოვრება. რუსი ოკუპანტი რეჟიმი იყო დაუნდობელი და ჩვენ ქართველებს არავინ არ გვეხმარებოდა. ვიყავით მიტოვებულნი რუსების ამარა. ეს ძალიან ემოციურად მძიმე და ბნელი პერიოდი იყო. გამოსავალი ემიგრაცია გახდა.

ნინი სიხარულიძე: სად დასახლით თავდაპირველად და შეიცვალეთ თუ არა საცხოვრებელი ადგილი?
პაატა ციქურიშვილი: თავდაპირველად, ვაშინგტონში ჩამოვედი და სიმართლე რომ გითხრათ, იმის მერე ვაშინგტონი არ დამიტოვებია. ფაქტი ის იყო, რომ პირველივე დღიდან დიდი კულტურული შოკი მივიღე. გამიჭირდა განსხვავებულ ღირებებულებთან შეგუება. მანამდე, ევროპაშიც მიცხოვრია: გერმანიაში, ჰოლანდიასა და დასავლეთ ევროპაში, ძირითადად. ამერიკა მაინც განსხვავებულია. აქ უცხოელი რომ ხარ ჩვეულებრივი მოვლენაა. თითქოს თავი სახლშიც კი ვიგრძენი. გამიჭირდა ის, რომ თეატრი არის სხვანარი. სხვანაირია თეატრის კულტურა და სისტემა ამერიკაში.

მსახიობობის სპეციფიკა აშშ-ში

ნინი სიხარულიძე: როგორია ემიგრაცია არტისტისთვის?
პაატა ციქურიშვილი: ცოტათი ამ კულტურულმა შოკმა რომ გადამიარა, დავიწყე სოლო დადგმების შესრულება რესტორნებში, ქუჩაში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. იმ დროს, პანტომიმა კარგად მეხერხებოდა. პანტომიმას არც ენის ცოდნა სჭირდებოდა და ეს ნამდვილად მეხმარებოდა ჩემი აქცენტიდან გამომდინარე. ებრაელმა რუსებმა აღმომაჩინეს. ახალი გახსნილი ჰქონდათ საბავშვო თეატრი. დამპატიჟეს, რომ გახსნის კონცერტზე მეთამაშა. იქ შევხვდი ანდრეის, სამხატვრო ხელმძღვანელს, ცნობილი ოდესელი მწერლის ბაბელის შვილიშვილს. მოსკოვში ჰქონდა მას დამთავრებული სარეჟისორო. მან შემომთავაზა, რომ ერთად დაგვეარსებინა თეატრი და ასე შეიქმნა სტანისლავსკის თეატრის იდეაც 1997 წელს. მაშინ დავიწყე მე ამერიკული თეატრის სტრუქტურის შესწავლა.
პაატა ციქურიშვილი: 1997 წლიდან, როგორც კი პირველი სპექტაკლი დავდგით, კრიტიკოსებმაც შეგვამჩნიეს. დაიწყეს იმისი აღნიშვნა, რომ ჩემი და ირინას სტილი იყო განსხვავებული. ყურადღება მივიქციეთ. მე მქონდა იმისი ჯინი რომ მოძრაობაც, თხრობაც, ფიზიკური ტექსტიც პანტომიმის ტექნიკაში მომექცია. ჩვენი აღმავლობა დაიწყო იმ პერიოდში.

ჩვენმა პოპულარობამ იმატა დოსტოევსკის "იდიოტის" დადგმის შემდეგაც. სინთეზური ხელოვნების სტილში დავდგით ეს სპექტაკლი ჩემი და ანდრეის რეჟისორობით და ირინას ქორეოგრაფიით. რასაკვირველია, პარალელურად ვმსახიობობდით კიდევაც. მაშინ იყო, რომ ვაშინგტონ პოსტმა აღმოგვაჩინა და პირველი ნომინაციები ავიღეთ. გავიდა "სტუმარ-მასპინძელი" და "ჰამლეტი." ნომინაციები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ კიდევაც. მაშინ დაიბადა საკუთარი თეატრის ჩამოყალიბების იდეაც იმისთვის, რომ საკუთარი ხედვის განხორციელება მოგვეხერხებინა.

ქართული თეატრის აღმოცენების ისტორია

ნინი სიხარულიძე: როგორ დაიბადა "სინეტიკი"?
პაატა ციქურიშვილი: "სინეტიკი" ტერმინი თავად მოვიგონე. ეს იყო კინეტიკის და სინთეზის შერწყმა.

ნინი სიხარულიძე: ალბათ, თქვენი სტილი ძალიან განსხვავდებოდა იმისგან, რასაც ამერიკელი მაყურებელი იყო შეჩვეული.
პაატა ციქურიშვილი: ყველასთვის ძალიან საინტერესო იყო ჩვენი სტილი. "ჰამლეტი" ტექსტის გარეშე იყო წარმოუდგენელი ბღაპარი. ეს იყო მდუმარე შექსპირი, რომელიც გახდა ჩვენი სავიზიტო ბარათი. მარკეტინგიდანვე დავიწყე ამ სპექტაკლის პოპულარიზაცია, როგორც უტექსტო შექსპირი. კარგად მახსოვს მაშინ მსახიობთა საზოგადოებაშიც სერიოზულად არ მიმიღეს, იმდენად წარმოუდგენელი იყო უტექსტო "ჰამლეტის" დადგმა. სპექტაკლის გაშვების შემდეგ დაიწერა, რომ, "this is the Hamlet we know in our bones." ამის მერე, გავაკეთე 14 შექსპირის სპექტაკლი და თითოეული შექსპირული დადგმა გავუშვით უტექსტოდ.

ნინი სიხარულიძე: რა იყო ის პირველი გამოწვევები, რომლებთან გამკლავებაც მოგიწიათ?
პაატა ციქურიშვილი: ჩამოსვლისთანავე დამხვდა ის რეალობა, რომ ძლიერი აქცენტის გამო, მსახიობობა არ გამოდიოდა. მივხვდი, რომ ამერიკელებს არ ჰქონდათ ფიზიკური თეატრის არანაირი ნასახი. მთელი ამერიკული თეატრი სტანისლავსკის სისტემაზე დგას და ქორეოგრაფია ბალანჩივაძეზე. ბალანჩინის ისტორიაც ხომ ვიცოდი. მივხვდი, რომ ეს იყო ჩემი შესაძლებლობა გავმხდარიყავი პიონერი ფიზიკური თეატრის დარგში.

ნინი სიხარულიძე: როგორ განახორციელეთ ეს გეგმა?
პაატა ციქურიშვილი: ამას მარტო მე, როგორც მსახიობი და ირინა, როგორც მსახიობი და ქორეოგრაფი ვერ ვიზამდით. მოვიწვიეთ ჯგუფი და დავიწყეთ მათი ტრეინინგი. პროცესი დაიწყო მსახიობების გაზრდით. ამას ერთი წელიწადი დასჭირდა. შემდეგ, ნელა-ნელა

დავიწყეთ პატარა სპექტაკლები სანამ დასი შეიკვრებოდა. დღესაც ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესია, რადგან მსახიობთა თაობები მუდამ იცვლება. ამერიკულ თეატრში არ არსებობს დასის, რეპერტუარის ცნება. მუდამ სულ ახალ-ახალი მსახიოებები და დირექტორები მოჰყავთ. ჩვენი სურვილი იყო დასი შეგვექმნა. ამიტომაც, დიდი დრო დავხარჯეთ იმაში, რომ ჩვენი დასისთვის გვესწავლებინა მოძრაობები, მანერები, სხვადასხვა ქორეოგრაფიული დეტალები... ვცდილობდით, მაქსიმალურად გამოგვეყენებინა თითოეული წევრის ტალანტი და ნიჭი. ზუსტად ამას ვუწოდებთ დინამიური ხელოვნების სინთეზს.

სპექტაკლის დადგმის პროცესი

ნინი სიხარულიძე: შეგიძლიათ გვესაუბროთ თქვენს სტილზე, სპექტაკლის დადგმის პროცესსა და სხვადასხვა ნიუანსების შესახებ?
პაატა ციქურიშვილი: რეპეტიციების დროს, სანამ პიესაზე მუშაობას დავიწყებთ, ერთად გავდივართ დასთან ერთად თუ რა არის პიესის ინსპირაცია, რა მნიშვნელობა აქვს ამ სპექტაკლს საზოგადოებისთვის. ინსპირაცია მოდიოდა იქიდან, რომ მსახიობებში აღმოვაჩენდი იმ თვისებებს, რომლებიც პიესის პერსონაჟებს მახსენებდნენ. გარკვეული მოვლენებიც არის ინსპირაცია. მაგალითად "მედეა," "ღვთაებრივი კომედია" და "სტუმარ-მასპინძელი" სოციალური და პოლიტიკური ყოველდღიურობის აქტუალური თემებიდან აღმოცენდა.
პაატა ციქურიშვილი: შემდეგ ვიწყებ დრამატურგთან მუშაობას. სანამ თავად გავზრდიდი დრამატურგს თეატრში, მე მიწევდა ამ სპეციფიკაზე ფიქრიც. აქაური დრამატურგები ჩვენს სტილს ვერ გაიგებდნენ. ამერიკულ თეატრში, პირველი სიტყვა არის დრამატურგი და არა რეჟისორი. რეჟისორი შეზღუდულია იმ ცვლილებებში რისი შეტანაც შეუძლია პიესაში. ჩვენ უფრო ქართულად ვოპერირებთ. რეჟისორია ყველაფერი ჩვენს თეატრში.
პაატა ციქურიშვილი: მაგალითად, "რომეო და ჯულიეტას" დადგმისას, მახსოვს შემოვიდა ერთი მსახიობი გოგო. თითქოს ჯულიეტა დამიდგა თვალწინ. ზოგადად, "რომეო და ჯულიეტას" როდესაც დგამ, თუ ჯულიეტა არ გყავს, მსახიობი რომელიც შინაგანად, ბუნებრივად ისისხლხორცებს ამ როლს, არ გამოვა ეს სპექტაკლი.

ნინი სიხარულიძე: როგორ არჩევთ სცენის დიზაინსა და თემატიკას?
პაატა ციქურიშვილი: იმ თემატიკის ძებნას ვიწყებ, რასაც გამოვიყენებ სპექტაკლში როგორც მეტაფორას, რომელიც მთელს სპექტაკლს თან გასდევს. აღმოვაჩინე, რომ შექსპირი "რომეო და ჯულიეტაში" სიტყვა დროს – time – ახსენებს 172-ჯერ. ამან მიბიძგა კონცეფციის დიზაინზე და ეს ყველაფერი მხატვრობაში გადავიტანე. შევქმენით საათის მექანიზმის დიზაინი, რომელიც გამოვიყენეთ ფონისა და სცენის სტრუქტურის შესაქმნელად.

მთელი სპექტაკლი ხდებოდა საათის შიგნით. როდესაც გაქვს კონცეფცია ან ხედვა, უკვე დიზაინერებთან იწყებ მუშაობას. ამის შემდეგ, ყველაფერი კარგად ვითარდება, რადგან ყველას ერთი ხედვა აქვს. მე სპექტაკლებს ისე ვაფორმებ, როგორც კინო არის მუსიკით და დიზაინით გაფორმებული. ჩვენი საკუთარი storyboarding-ის სტილი გვაქვს. ეს სტილი ეტყობა იქიდან მოდის, რომ კინოს სარეჟისორი დავამთავრე.

პაატა ციქურიშვილი: კონცეფციაზე ვმუშაობ რეჟისორთან. მუსიკაზე ცალკე ჯგუფი გვყავს. პირველ რეპეტიციაზე ხდება მსახიობების, ადმინისტრაციისა და დიზაინის ჯგუფის გაცნობა. გუნდი მთლიანობაში უნდა იყოს შეკრული. რეპეტიციაზე, რომ შევდივარ ჩემი იდეების პრეზენტაციას ვახდენ. სცენის დიზაინერიც თავის ხედვას გვიზიარებს. დრამატურგი თავის პრეზენტაციას გვთავაზობს. დიდი სპექტაკლების დროს, პიესების გარჩევა იწყება. ეს აუცილებელია, როდესაც მასიურ ტექსტზე ვმუშაობთ, როგორიცაა მაგალითად "სამი მუშკეტერი."

ნინი სიხარულიძე: როგორ მიმდინარეობს რეპეტიციების პირველი კვირა?

პაატა ციქურიშვილი: რეპეტიციების პირველ კვირას ვეძახით mess around-ს. ვკითხულობთ პიესას იმისთვის, რომ მსახიობებმა გონებრივად შეისისხლხორცონ პიესა. ამ დროს, ირინა გუნდურ იმპროვიზაციებს აკეთებს მოძრაობების დასამუშავებლად იმისთვის, რომ ეს დიდი კონცეფციები და მეტაფორები დინამიკაში გადმოვცეთ. მაქსიმუმ სამი დღე "მაგიდის გარშემო" ვმუშაობთ. ამის შემდეგ, ყველამ ზეპირად უნდა იცოდეს პიესა და ზუსტად მაშინ ვიწყებთ სცენაზე მუშაობაც.

ნინი სიხარულიძე: როდის იწყებთ მუსიკასთან მუშაობას?

პაატა ციქურიშვილი: სპეციფიკურ სცენაზე მაქვს გარკვეული დრო გათვლილი იმისთვის, რომ მოვასწროთ ყველა სცენის დამუშავება. ვრეპეტიციობთ პატარ-პატარა ეპიზოდებით, როგორც ფილმებს იღებენ პატარა ეპიზოდებით და პარალელურად ვამუშავებთ მუსიკას. მაგალითად, უნდა გადავწყვიტოთ რა ფერია მუსიკა, რა განცდას იძლევა, რა ეფექტი უნდა დატოვოს. რეპეტიციების პირველი ეტაპი რომ გადაივლის, შემდეგ უკვე ვიწყებთ მუსიკალური შეხამებით რეპეტიციას და სცენების შეერთებას. აი, ეს არის ის ეტაპი, მონტაჟი რომ იწყება ფილმის კეთებისას.

პაატა ციქურიშვილი: ტექნიკური რეპეტიციებიც მიდის სცენის მენეჯერისთვის, რომ სწორი მინიშნებები შუქისა და მუსიკალური გადასვლებით მოხერხდეს მსახიობებისთვის. სულ ცოტა 1200-ჯერ შუქისა და მუსიკალურ მომენტებს განვიხილავთ თითოეულ რეპეტიციაზე. დინამიკას მარტო მსახიობით არ აქვს ხიბლი. ეს თვითონ მონტაჟის ნაწილიცაა. სცენიდან სცენაზე გადასვლაში შემოდის ეს დინამიკა. შუქზე მუშაობის დროს, ხშირად ვიყენებთ კინოს ტერმინოლოგიას: close up, wide shot, medium shot. ეს შუქის გამოყენებით, გარკვეულ დეტალებზე კონცენტრაციის მოსახდენადაა. ამას ვეძახი სპექტაკლის pre-production პერიოდს. სინჯვის პერიოდში, ვაკვირდებით მაყურებელზე როგორ მოქმედებს სპექტაკლი. ამ დროს, განვიხილავთ შესაძლო ცვლილებებს, რომლებიც გააუმჯობესებენ სპექტაკლის გავლენას მაყურებელზე. ეს საბოლოო დეტალების დამუშავების პროცესია. პრემიერა რომ

გაიხსნება, ამითი მთავრდება სპექტაკლზე მუშაობა. მაშინ უკვე სპექტაკლს ხელს ვეღარ ვახლებთ.

მსახიობობიდან რეჟისორობამდე

ნინი სიხარულიძე: რას ნიშნავს მსახიობობა თქვენთვის?
პაატა ციქურიშვილი: ბოლოს სცენაზე 2012 წელს ვიყავი. მსახიობობას უნდა არანაკლები შრომა, ენერგია და თავდადება. მსახიობობას კიდევ სჭირდება იმის მიხვედრა თუ რას ეძებს რეჟისორი. ეს ძალიან დიდი და კომპლექსური საქმეა. მე მსახიობი ვიყავი სანამ რეჟისორი გავხდებოდი. მსახიობად აღმომაჩინეს პრესაში. ხელი შემიწყო იმან, რომ დასის ჩამოყალიბების შემდეგ, ირინა გახდა დასის წამყვანი. ამან გამომითავისუფლა დრო, რომ რეჟისორად დავმდგარიყავი.
პაატა ციქურიშვილი: მსახიობობა მიყვარს. ჯოყოლას როლი განსაკუთრებულად მორგებული მაქვს. ჩემია ეს თემატიკა, რამაც შემიწყო ხელი დამედგა "სტუმარ-მასპინძელი." 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ, მივხვდი რომ ამერიკელებს არ ჰქონდათ მუსულმანური სამყაროს წარმოდგენა სათანადოდ შექმნილი. "სტუმარ-მასპინძელში" ქრისტიანულ-მუსულმანური პრობლემა რომ არის ამოხსნილი და პრობლემა საერთოდ რომ არ არსებობს, ეგეც რომ ფაქტიურად ამოხსნილია, ამიტომაც წარვადგინე ეს სპექტაკლი. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო. ცოტა რთული მომენტი იყო იმდენად ქართული ისტორიაა "სტუმარ-მასპინძელში" აღწერილი.

"სტუმარ-მასპინძელი"

ნინი სიხარულიძე: მსურს „სტუმარ-მასპინძელი" განვიხილოთ, ქართული კულტურის, სტუმართმოყვარეობის და მიმღებლობის ერთ-ერთი წამყვანი ლიტერატურული ასახვა. ვიცი, რომ გყავდათ ძალიან ნიჭიერი, ცნობილი და დაფასებული არტისტების გუნდი.
პაატა ციქურიშვილი: გოგი მესხიშვილმა მხატვრულად გააფორმა ეს სპექტაკლი. დრამატურგი იყო რონალდ რიდი. ბიბლიოთეკაში ვიპოვე ვაჟა-ფშაველას პატარა წიგნი, ინგლისურად. ცოტა ძველი შექსპირული ინგლისურის სტილით იყო ნათარგმნი. დრამატურგთან დავამუშავეთ ეს კონცეფცია.

ნინი სიხარულიძე: „სტუმარ-მასპინძელი" ძალიან ქართულია თავისი ბუნებით, ენით და შესრულებით. მოარგეთ თუ არა ის ამერიკულ აუდიტორიას?

პაატა ციქურიშვილი: შევეცადე არ ყოფილიყო ეს დადგმა ძალიან კუთხურ-ქართული. ემოციებით და ელემენტებით, რასაკვირველია, ეს სულით ქართული ისტორიაა, მაგრამ შევეცადე წარმომეჩინა მაყურებლისთვის გასაგებ ენაზე. ძალიან იმოქმედა ამ დადგმამ ამერიკელებზე. ეს იმდენად დამთრგუნველი იყო, რომ მახსოვს პირველი პრემიერის შემდეგ დანგრეულებმა დატოვეს დარბაზი.

ნინი სიხარულიძე: რა იყო თქვენი მოტივაცია ასეთი განსაკუთრებული დადგმისთვის?
პაატა ციქურიშვილი: მინდოდა ქართული გამეცნო ამერიკელებისთვის. მინდოდა მეჩვენებინა ვინ ვართ გენეტიკურად ვაჟა-ფშაველას ამ მე-19 საუკუნეში დაწერილი ისტორიით. ამერიკაში ძალიან აფასებენ და ყურადღებას აქცევენ იდენტურობას, განსაკუთრებით indigenous და ძირძველი ფესვების მქონე ხალხს. ამერიკელებმა არ იციან, რომ ქართველები ვართ კავკასიის ძირძველი ხალხი. ეს თავისთავად მოქმედებს ქართველების მენტალიტეტზე. ყველა ქართველს გვაქვს ის ისტორიული, შინაგანი ჭრილობები და ნაიარევი, რომელიც ისტორიამ მოგვიტანა. მინდოდა ამერიკელებისთვის გვეჩვენებინა, თუ როგორ მოვახერხეთ ქართველებმა ამ განსხვავებების გადალახვა, ის რომ რელიგიის ზევით არსებობს ადამიანური, ჰუმანური ღირებულებები, რომელსაც უნდა მივყვეთ. პირველად ეს სპექტაკლი 2003 წელს დავდგით.

ნინი სიხარულიძე: როგორც ვიცი, ეს სპექტაკლი თქვენ მრავალჯერ დააბრუნეთ სცენაზე.
პაატა ციქურიშვილი: "სტუმარ-მასპინძელმა" ყველაზე მეტი იარა, როგორც სპექტაკლმა, თავისი პოლიტიკური მნიშვნელობისა და ზედმიწევნითი შესრულების გამო. ახლახანს, კიდევ მოიპოვა Helen Hayes წოდებები. დღესაც, უკვე 20 წელი გავიდა და "სტუმარ-მასპინძელი" კვლავ დავაბრუნე სცენაზე. 2023 წელს ეს სპექტაკლი უკრაინას მივუძღვენი. 2008 წელს – საქართველოს რუსეთის ომისა და ოკუპაციის შედეგად. საუკეთესო დადგმის წოდება მოიგო ამ სპექტაკლმა. "სტუმარ-მასპინძელი" ბევრჯერ დავაბრუნეთ სცენაზე. ყველაზე მეტი დაბრუნება და გასტროლი აქვს "სტუმარ-მასპინძელს" და შემდეგ – "ზაფხულის ღამის სიზმარს." "ზაფხულის ღამის სიზმარიც" იმ კუთხითაა განსაკუთრებული, რომ კანფეტივითაა თვალისთვის დიზაინის გამო. ძალიან სასიამოვნო, სახუმარო, ამერიკელებისთვის გასაგებია. ნახატივითაა.

ნინი სიხარულიძე: სცენის დიზაინის თემაზე, შეგიძლიათ გვითხრათ, რა განაპირობებს თქვენს შთაგონებას?
პაატა ციქურიშვილი: საერთოდ, ყველაფერს ნახატში ვეძებთ. მეფე ლირის ნახატი ვიპოვე, შავ-თეთრში დახატული, მაგრამ გამოსახული იყო ჯამბაზი. აქედან ავიღე ჯამბაზების ინსპირაციაც. ფედერიკო ფელინის ჰქონდა ბევრი რამ აღმოჩენილი ჯამბაზების შესახებ. ამეკვიატა ჯამბაზის იდეა. ესეც კონცეფციად იქცა "მეფე ლირის" დადგმაში.

ნინი სიხარულიძე: "სტუმარ-მასპინძელი," როგორც ვიცი, მუსიკალურად გია ყანჩელის გაფორმებულია.
პაატა ციქურიშვილი: მუსიკას რაც შეეხება, მოგეხსენებათ რომ გია ყანჩელი კლასიკაა. ის არ წერს მუსიკას. ის მუსიკას დგამს. მეტყველია ყანჩელის მუსიკა. ყველაფერს გიყვება, განწყობას გიქმნის. როდესაც ტრაგიკულია, ისეთი სევდიანია, რომ დაგანგრევს. ეს ძალიან კარგად მუშაობდა, რადგან მაყურებლისთვის მუსიკა ემოციური თანგადასავლი იყო და მსახიობებისთვის – მეორე ტექსტი. მუსიკის ცოდნაა აუცილებელი. სპექტაკლის შეკვრა მუსიკაზე ხდება. ყველაფერი მუსიკალურ ფაზებშია, როგორც კინოში. მუსიკაზე რომ აეწყობა მსახიობიც, შუქიც, გადასვლების, ეს არის მომენტი, როდესაც სპექტაკლი იკვრება. ამგვარად, ყანჩელმა მუსიკალურად გააფორმა "სტუმარ-მასპინძელი." გოგი მესხიშვილიმა ააწყო კოსტუმები და ითავა მხატვრული გაფორმება. ირაკლი კავსაძე გახდა კომპანიის დამფუძნებლის წევრი და ხმის დიზაინერი. მაშინ, აღმოცენდა იდეა, რომ კახი კავსაძე იქნებოდა გენიალური მუსა. ეს ერთი ეპოქაა – სტურუა, ყანჩელი, კავსაძე, მესხიშვილი – სხვა სკოლაა. ამან ძალიან გამზარდა. შეიკრა ქართული გუნდი.

"სინეტიკი" დღეს

ნინი სიხარულიძე: როგორია "სინეტიკი" დღეს?
პაატა ციქურიშვილი: როდესაც ჩამოვედი, ყველა თეატრი ამერიკაში იყო talkie-walkie, მე ესე ვეძახი. სტურუას, მარჯანიშვილის, ახმეტელის, შალიკაშვილის ისტორიებზე გაზრდილი, რომ ვიცით საიდან მოდის ფესვები და როგორ გადმოსცემ ისტორიას, ამ სიმდიდრის შემდეგ ამერიკული თეატრი არაფერია. ამიტომაც გვინდოდა ქართული ელემენტების გადმოტანა და ამერიკული საზოგადოებისთვის წარდგენა.

ნინი სიხარულიძე: ვიცი, რომ ბევრი წოდება გაქვთ აღებული.
პაატა ციქურიშვილი: 25 წელია რაც Helen Hayes წოდებებს ვიგებთ. ნომინაციები მეტყველებს იმ საქმეზე, რასაც აკეთებ. 150-მდე ნომინაცია გვაქვს მიღებული. 45 წოდება გვექნება აღებული. ამას მოაქვს დიდი პრესტიჟი. შექსპირის თეატრმა მიგვიწვია, რომ უტექსტო შექსპირი გვეთამაშა. სამხატვრო ხელმძღვანელმა გამაფრთხილა, რომ ამერიკელები სანამ არ ნახავდნენ, ამ სპექტაკლს ვერ გაიგებდნენ. ეს ასეც იყო.

ნინი სიხარულიძე: დამეთანხმებით თუ არა, რომ "სინეტიკი" დიდ მრავალფეროვნებას ანიჭებს თეატრის ცნებას ამერიკელი მაყურებლისათვის?
პაატა ციქურიშვილი: 80-ზე მეტი თეატრია ვაშინგტონში. აქედან ერთი ლათინო ამერიკელების თეატრია და ერთი – ჩვენი ქართული. დანარჩენი, სულ ამერიკული თეატრებია. ჩვენ გავაკეთებინეთ თეატრის კედელზე დიდი მსოფლიოს რუკა, სადაც

მონიშნული გვაქვს დედამიწის რომელი კუთხიდან მოდიან ჩვენი არტისტები. ვიზუალურად მოვყევით თუ ვინ ვართ ჩვენ.

ნინი სიხარულიძე: დაგეხმარათ თუ არა ქართული თეატრის ხელმძღვანელობა იმაში, რომ შეგმსუბუქებოდათ საქართველოს მიმართ ნოსტალგია? არის თუ არა ეს სახლში ყოფნის გრძნობა?
პაატა ციქურიშვილი: სამშობლოს ნოსტალგია არ მაქვს, რადგან სამშობლოში ვარ. თეატრში ვიქმნი მე საქართველოს. ყველაფერ ქართულს თვალს ვადევნებ. ქართულად ვკითხულობ. ქართულ რადიოს ვუსმენ. ქართულ ტელევიზორს ვუყურებ. დიდი სიამაყე მაქვს, რომ ქართველები ასეთი ნიჭირები ვართ. გვაქვს ჩვენ ამ დიდი ნიჭიერების უნარი. ბოლო 25 წელიწადია მე და ირინა არ გავჩერებულვართ. ყოველ სეზონზე ვუშვებთ 5 სპექტაკლს, რომელთაგანაც 3 ახალი დადგმაა. ეს სიგიჟეა. ჩვენი მთელი ოჯახი თეატრზეა შეუღლებული. ჩემი შვილები ვატო და ანა უკვე რამდენი წელია მსახიობები არიან. ვატო რეჟისორობს კიდევაც.

ნინი სიხარულიძე: რას გამოარჩევდით, როგორც თქვენს ერთ-ერთ დიდ მიღწევას?
პაატა ციქურიშვილი: ახლა, Georgian Association in the U.S. ჰქონდა 90-ე წლის იუბილე, დაგვპატიჟეს და მოგვანიჭეს "ambassador of Georgian culture"-ის ტიტული. თბილისში გასტროლების დროს, მაშინდელი ამერიკის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი სპექტაკლის ბოლოს გამოვიდა სიტყვით და განაცხადა: "you put Georgia on the map in the USA." ჩვენზე დაწერილი ყველა სტატია დღეს იწყება იმით, რომ ჩვენ ვართ წარმოშობით ქართველები. ჩვენი თეატრი პოპულარიზებულია, როგორც ქართული თეატრი. ვართ ვაშინგტონში. დირექტორების ჯგუფში გვყავს კონგრესმენები, პოლიტიკოსები… სანამ მე ვარსებობ, ეს არ ჩაქრება. მინდა, რომ ქართული თეატრის ფესვები დარჩეს ჩვენს თეატრში. რასაც ჰქვია, თეატრის ანბანი ქართულია. ეს არის საიდანაც მოვდივართ.

ნინი სიხარულიძე: მინდა გკითხოთ ამერიკელი და ქართველი აუდიტორიის შესახებ. მართლა განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან?
პაატა ციქურიშვილი: ამერიკელი მაყურებელი ძალიან განსხვავდება ქართველი მაყურებლისგან. ისინი ძალიან სტოიკურები არიან. რომ ჩამოვედით საქართველოში და "სტუმარ-მასპინძელი" ვითამაშეთ, გული მქონდა ამოვარდნაზე. ეს სპექტაკლი მაინც ამერიკულ მენტალიტეტზე მქონდა მორგებული. დიდი პასუხისმგებლობა ვიკისრეთ საკუთარ თავზე. პირველი 10 წუთის მერე, ტაში რომ დაიწყო სცენების ბოლოს, ჩემი მსახიობები დაიბნენ. ვამშვიდებდი, რომ ეს ქართული სტილი იყო. ამის შემდეგ იყო, რომ აენთნენ მსახიობებიც და დაიხოცეს თავები ისე ითამაშეს. ეს მუხტი გადამდებია. გაგიჟდნენ მსახიობები. სპექტაკლის დასრულების შემდეგ, ტაში ნახევარი საათი არ წყდებოდა. დაიქცა მთელი თეატრი. ჩვენ ქართველი მაყურებლები ვართ ტემპერამენტიანი, გულიანები. სხვანაირი ღირებებულებების, ფასეულობების ხალხი ვართ. ვართ ცხელი ხალხი. ამერიკელი ხალხი ესეთი არ არის.

ქართული კულტურის შენარჩუნება

ნინი სიხარულიძე: არის თუ არა ქართული ტრადიციები, რომლებსაც თქვენ და თქვენი ოჯახი კვლავ ახორციელებთ?
პაატა ციქურიშვილი: ჩვენ ახალ წელს ქართულად აღვნიშნავთ. სულ სიხალისე გვაქვს. ქართული ძველი ახალი წლით ვასრულებთ ამ დიდ დღესასწაულებს. ქართველობას არ ვიკლებთ.
პაატა ციქურიშვილი: კი, დიდი ხანია წამოსული ვარ, მაგრამ მე ვერასოდეს ვერ გავხდები ამერიკელი. მე ქართველი მოვკვდები. მგონია, რომ ყველა ემიგრანტი ეგრეა. ის ქართული ტრადიცია, ენერგეტიკა, ისტორია, ღირებულებები, ფასეულობები არსად არ წასულა. ქართული ისტორია სულ თან დამყვება. რომ მეკითხებიან შენს ქვეყანაზე მომიყევიო, ვერ მაჩერებენ. უკრაინა-რუსეთის ომი რომ დაიწყო, ძალიან იმოქმედა ამ ყველაფერმა ჩემზე, რადგან ძალიან ბევრი ტკივილი გამახსენდა ჩვენი საკუთარი ისტორიის და უბედურების. სულ იმას ვყვები ხოლმე, რომ ის რაც უკრაინაში ხდება ახლა ჩვენი 90-იანები იყო, ჩვენი 2008 წელი იყო. ახლა უკვე ხვდებიან ჩვენს ისტორიას ამერიკელები, როდესაც ტელევიზორში იმის მაგალითს ხედავენ, რაც ჩვენ გამოვიარეთ.

ნინი სიხარულიძე: რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მძაფრად თქვენი ემიგრაციის გამოცდილებიდან?
პაატა ციქურიშვილი: მე ამერიკაში ჩამოვედი როგორც არტისტი. მაშინ მქონდა კულტურული შოკი, როდესაც მივხვდი, რომ ამერიკაში არაფერს არ წარმოვადგენდი. წავისვი თეთრი ნიღაბი, რაც ცხოვრებაში არ გამიკეთებია. ჩემი ჭკუით, მენტალურად დავიმალე. მრცხვენოდა, რომ ქუჩაში მეთამაშა. რეალურად, ზუსტად ამ ნიღაბმა მიშველა, როდესაც ებრაელმა რუსმა მიპოვა რესტორანში ვატოსთან ერთად. იქ ვთამაშობდით და ვმსახიობობდით.
პაატა ციქურიშვილი: მაშინ გადავწყვიტე, რომ გადამეგდო პანტომიმა და სინტეთური თეატრი წამომეწყო. თუმცა, სპექტაკლებში სულ ვხმარობ ჯამბაზის ელემენტებს. ამერიკელები ამას მიჩვეულები არ არიან. "მეფე ლირი" რომ გავუშვით, სპექტაკლიდან გასვლისას ამერიკელები იყვნენ დახრჩობილები ემოციისგან. ტრაგიკული ჯამბაზი, კი, თავიდან გაგართობს, გაგახალისებს, მაგრამ ეს უკვე ტრაგედიაში რომ გადადის, ეს ჯამბაზობა ჯამბაზობას აღარ ნიშნავს. ეს ხდება სხვანაირად გროტესკი. ტრანსცედენტურია, სხვა განზომილებაში გადაჰყავს მაყურებელი. სტურუა და შალიკაშვილი გენიალურად იყენებდნენ ამ პანტომიმას.

ნინი სიხარულიძე: გავიგე, რომ ქართულ-ებრაული ურთიერთობების საპატივსაცემოდ, დადგით სპექტაკლი. შემიძლია მეტი გავიგო ამის შესახებ?

პაატა ციქურიშვილი: ჩვენთან სიახლოვეში არის ებრაელების თეატრი, Jewish Community Center-ის ნაწილი. ისინი მოვიდნენ და ნახეს ჩვენი სპექტაკლები. სამხატვრო ხელმძღვანელმა შემომთავაზა გამეკეთებინა ერთი დადგმა: პოლონელში მოღვაწე ებრაელ დრამატურგს დაწერილი ჰქონდა "დიბუკი." ებრაელებისთვის, დიბუკი არის სული, რომელიც გაჭედილია: არც სამოთხეში მიდის და არც – ჯოჯოხეთში. მან მკითხა, რომ ამ დადგმას ხომ არ გავაკეთებდი. მან იცოდა, რომ მე ებრაელი არ ვიყავი. მითხრა, რომ ერთი პირობა იყო: რაბაებთან უნდა მევლო სამი თვე პატარა ლექციებზე. ებრაელებში, სულს ფორმა არ აქვს. ვფიქრობდი თუ როგორ უნდა გემეკეთებინა ეს დადგმა სულებზე სულის ფორმის გარეშე. ვკითხე თუ იცოდნენ რაიმე ქართველი ებრაელების შესახებ. ავუხსენი, რომ 25 საუკუნეა რაც ქართველი ებრაელები საქართველოში ცხოვრობდნენ, რომ ვართ ერთადერთი ქვეყანა სადაც ისინი არ დაჩაგრულან. გადავწყვიტეთ, რომ ეს დადგმაც ქართული-ებრალური სტილით გაგვეკეთებინა. ბევრ რელიგიურ თემასაც შევეხეთ.

ნინი სიხარულიძე: ვიცი, რომ არის სხვა შემთხვევებიც, როდესაც სპექტაკლის საშუალებით გამოეხმაურეთ სოციალურ-პოლიტიკურ არეულობას მსოფლიოში. მგონი, "სტუმარ-მასპინძელი" იყო ამ მიზნით ბევრჯერ დაბრუნებული სცენაზე, არა?
პაატა ციქურიშვილი: 2008 წელს, როდესაც რუსეთი დაგვახტა თავზე, სხვა სპექტაკლს ვდგამდი. ხაზი გადავუსვი ყველაფერს და დავდგით "სტუმარ-მასპინძელი." ამას პრესაში, განსაკუთრებით, ვაშინგტონ პოსტში, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ჩემი მიზანია, რომ ემოიცური ბმა დავამყარო. ეს უხილავი ძალაა – მაყურებელის ყურადღებას, რომ დაიჭერ, იმისი გაშვება არ შეიძლება. მსახიობი მთლიანად უნდა არსებობდეს, ცხოვრობდეს სცენაზე. სხვა განზომილებაში უნდა იყო. ჟესტი, პლასტიკა, რეაქციები ბუნებრივად გვაქვს ჩვენ ქართველებს. ამას სწავლობენ ჩვენგან ჩვენი მსახიობები. აზროვნება გეცვლება. სხვანაირად იწყებ მეტყველებას.

ნინი სიხარულიძე: მას შემდეგ რაც ამდენი გავიგე თქვენი მისწრაფებებისა და თქვენი შეხედულებების შესახებ, მინდა დავსვა ბოლო შეკითხვა: როგორ მომავალს უსურვებდით საქართველოს?
პაატა ციქურიშვილი: მე თავისუფალ მომავალს ვუსურვებ საქართველოს. მე მივხვდი თავისუფლება რას ნიშნავს ამერიკაში. ეს არ ნიშნავს მარტო ქვეყნის თავისუფლებას. ეს ნიშნავს ასევე პიროვნულ თავისუფლებას. რუსეთი თავისას არ იკლებს, ასევე აღმოსავლეთიც. თუ თავისუფალი არ ხარ, ვერ იქნები დამოუკიდებელი. ეს ნიშნავს, რომ აღარ იყო დამოკიდებული იმაზე, ვინც სამასი წელი თავში გირტყამდა, გკლავდა, გჭამდა და გაგდებდა. ჯერ თანამედროვე პერიოდში რა გვიქნეს და შემდეგ ამ სამასი წლის მანძილზე რას გვიშვებოდნენ რუსები... ვერ გადაგვარჯულეს უბრალოდ იმიტომ, რომ ესეთები ვართ ქართველები. ვერ გადაგვაჯიშეს, ვერ გაგვყარეს. ვერ დაგვხოცეს ამ ისტორიის მანძილზე.

დამოუკიდებლობას ვუსურვებ ჩემს სამშობლოს. ის გენეტიკა არსად არ გაქრება, ჩვენი ქართველობის გენეტიკა. ამას ვერაფერი ვერ გააქრობს.